№ 281 მთავრობის ორგანო

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი. წელიწადი მეორე.

ფასი 1 მან. ხუთშაბათი, 11 დეკემბერი 1919 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი პეტიტით 1 გვერდზე 3 მ., მეოთხეზე 2—50. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

კანტორიდან

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის.

გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მეოთხე გვერდზე 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი.

სახალხო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

ხუთშაბათს, დეკემბრის 11-ს პირველათ ქართული ორიგინალური კომიკური ოპერა ვ. დოლიძისა

ქეთო და კოტე

კლასიკურ კომედიის „ხანუმას" სიუჟეტიდან. პარასკევს, დეკემბრის 12-ს გვარდიის დღე „აბესალომი და ეთერი". შაბათს, დეკემბრის 13-ს ოპერა მუშებისათვის „პიკის ქალი". კვირას, დეკემბრის 14 ს დილით „ფაუსტი" და „ვალპურგიის ღამე". საღამოს „დუბროვსკი". ორშაბათს, დეკემბრის 15 ს კოზიცის მონაწილეობით „ურიის ქალი". 233

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მომარაგების სამინისტრო

საყოველთაოდ აცხადებს:

1. თანახმათ მონოპოლიის კანონისა თუთუნის ფურცელზე მიღებულია დამფუძნებელი კრებით 24 ოქტომბერს 1919 წელს და შესულია ძალაში დღიდან მიღებისა. ყიდვა გაყიდვა, გატანა საზღვარ გარეთ და ყოველგვარი დეალიზაცია თუთუნის ფურცელზედ შეადგენს სახელმწიფო მონოპოლიას.

2. ყველა მესაკუთრე თუთუნის ფურცლისა, რომელიც იმყოფება საწყობებში რესპუბლიკის ტერიტორიაში თუთუნის ქარხნებითურთ, ვალდებულნი არიან ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა სახელმწიფოს ოფიციოზის „საქართველოს რესპუბლიკა"-ში, აცნობონ მომარაგების სამინისტროს ნამდვილი რაოდენობა თუთუნისა, რომელიც მათ აქვთ საწყობში და სად არის ის საწყობები.

შენიშვნა: ყველა მესაკუთრე თუთუნის ფურცლისა, რომელიც ინახება საწყობებში ქალაქ სოხუმში, ოჩემჩირეში და საზოგადოთ აფხაზეთის საზღვრებში, თუთუნის ქარხნებითურთ, ვალდებულნი არიან ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა „საქართველოს რესპუბლიკა"-ში, აცნობონ აფხაზეთის კომისარიატს და მთავარ რწმუნებულს მომარაგების სამინისტროსას ქ. სოხუმში (მისამართი ... [illegible]) ... რაოდენობა თუთუნისა და ადგილი სადაც უკანასკნელი ინახება.

3. ყველა მესაკუთრე საწყობებისა და ყველა ისეთ ბინებისა, სადაც თუთუნი ინახება, აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებანიც, სადაც თუთუნი გირავდება, ვალდებულნი არიან კანონის ძალით პასუხის გებაში მიცემის შიშს ქვეშ, აცნობონ სამინისტროს (აფხაზეთში აფხაზეთის კომისარიატს და მთავარ რწმუნებულ სამინისტროსას) ზემოაღნიშნულ ვადაში სად ინახება თუთუნი.

4. ეს განკარგულება ეხება აგრეთვე უძრავ მამულებისა, მოიჯარადრეებს და მართველებს, რომელთაც აქვთ თუთუნის საწყობები.

5. დამნაშავენი თუთუნის ფურცლის დამალვაში იქნებიან მიცემული სათანადო პასუხის გებაში და თუთუნი კი იმ პატრონთაგან, რომლებმაც თავის დროზედ არ მიაწოდეს ცნობები სამინისტროს (აფხაზეთში) აფხაზეთის კომისარიატს და მთავარ-რწმუნებულს სამინისტროსას (სადაც თუთუნი იმყოფებოდა), პატრონებს ჩამოერთმევა მეტათ შემცირებულ ფასებში.

6. ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთაც ექნებათ რაიმე საშუალება, ეძლევათ წინადადება ზემოხსენებული ცნობები დაუყონებლივ წარმოუდგინოს მომარაგების სამინისტროს (აფხაზეთში) აფხაზეთის კომისარიატს და სამინისტროს მთავარ-რწმუნებულს.

222 3—2

კავკასიის საიმპორტო და საექსპორტო აქციონერულ საზოგადოების გამგეობა

ამით აცნობებს ბ.ბ. აქციონერებს, რომ ფინანსთა მინისტრის ნებადართვით გამოიცემა მესამე გამოცემის აქციები 10,000 აქცია ერთ მილიონ მან. დ დებული ფასით შემდეგ პირობებში: 1) აქციის გამოცემითი ფასი 110 მან., რომელიც ოც დეკემბრამდის უნდა იქნეს შეტანილი ნაღდ ფულად; 2) აქციების შეძენაში უპირატესობა ეძლევა ძველ აქციების პატრონებს, ორ ძველ (პირველ და მეორე გამოცემის) აქციაზე თითო ახალი აქცია მიეცემათ; 3) აქციონერებმა, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ოც დეკემბრის შემდეგ დარჩენილ აქციების განაწილებაში უნდა შეიტანონ გამგეობის სახელზე განსაკუთრებული წერილობითი განცხადება, ვინც განცხადებას არ შემოიტანს, ის მონაწილეობას ვერ მიიღებს; 4) აქციების ფულის მიღება შეიძლება საზოგადოების კანტორაში, პუშკინის ქუჩა, № 3. მიმდინარე ანგარიშზე ვაჭართა ბანკში № 1227, აი ფრიდონოვის კანტორაში № 1659. 297 1—1

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

რესპუბლიკის დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირის გადიდებისა.

1. გადიდებულ იქნეს 40%-ით აწინდელი ჯამაგირი მუშათა, თანამდებობის პირთა, კანცელარიის მოხელეთა და დაბალ მოსამსახურეთა ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში ამ დეკრეტის მე 2 და მე-3 მუხლში ჩამოთვლილის გარდა.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნულ აწინდელ ჯამაგირში შედის ყველა აქამდე მიღებული მომატება.

2. ჯამაგირი მუშა-მოსამსახურეთა: 1. სახელმწიფო მამულებისა, 2) ტფილისის ბოტანიკური ბაღისა და მისი განყოფილებებისა, 3) საქარის სანერგისა, 4) ყოფილი საუფლისწულო ღვინის სარდაფის ტფილისის განყოფილებისა, 5) სახელმწიფო საჯინიბოსი, 6) ტფილისის სასახლისა და 7) ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისა გადიდებულ იქნეს თანახმად ამასთანავე დართული ნუსხებისა.

3. ამ დეკრეტის 1 მუხლში აღნიშნული გადიდება ჯამაგირისა არ ვრცელდება მუშა-მოსამსახურეებზე: 1) გზათა დეპარტამენტის დაწესებულებებისა და წარმოებებისა, 2) სახელმწიფო კონტროლისა, 3) სახალხო განათლების უწყებისა, 4) სამხედრო უწყებისა, 5) დამფუძნებელი კრების კანცელარიისა და 6) სასამართლოს უწყებისა.

4. ამ დეკრეტით გამოწვეული ხარჯის დასაფარავად ამა წლის ნოემბრის 1 დან გაღებულ იქნეს ყოველთვიურათ სახელმწიფო ხაზინიდან ხუთი მილიონი ოთხას ორმოცდა ცამეტი ათას ხუთას ორმოცდა ხუთი (5.453,545) მან. კრედიტი, თანახმად ამასთანავე დართული ნუსხისა.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის 1919 წლის ნოემბრის 1-დან.

1919 წ. დეკემბრის 2.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომრის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დანართი 1 მე 2 მუხლისა.

ხელფასის ტარიფი.

ბორჯომის სახელმწიფო მამულის მუშა-მოსამსახურეებისა 1919 წლ. ნოემბრის 1-დან 40% მომატებით.

ბორჯომის სახელმწიფო მამული. მთავარი კანტორა.

ბუხალტრის თანაშემწე	1700
უფროსი მოანგარიშე	1600
უმცროსი	1450
კანტორის უფროსი მოხელე	1300
„ უმცროსი „	1200
მთავარი კანტორის მოლარე	1800
მანქანით გადამწერი-მოანგარიშე	1500
ტეხნიკოსი	1800
საქმის მწარმოებლის თანაშემწე	1350
სასურსათო საწყობის გამგე	1575
მიწის მზომავი	1675
1 კატეგორიის დარაჯი	1050
2 „ „	1000
გზირი	1050

ცენტრალი საწყობი.

გამგე	1700
მეთვალყურე	1400
დარაჯი	1000
წიგნთსაცავის გამგე	400

აბანო.

მეაბანოე	1000

შეშის საწყობი.

გამგე	1500
დარაჯი	1000
მეურმე	1000

დიდი სასახლე.

მეთვალყურე	400
დარაჯი	1000

პატარა სასახლე.

მეთვალყურე	1200
დარაჯი	1000

საჯინიბო.

გამგე	950
მუშა	990

ღვინის უბანი (ბაღები და პარკები).

გამგე	2000
მებაღე	1050
მუშა	990

მფრინავი რაზმი.

რაზმის უფროსი	1700
მილიციონერი	1000

საამშენებლო და სახანიტარო ნაწილი.

ტეხნიკოსის თანაშემწე	1050
ათისთავი	1200
მჭედელი	1300
დურგალი	1300
მელუმლე	1300
უფროსი მუშა	1100
სანიტარი	1000
უფროსი მუშა	1100
დღიური მუშა	990

საავადმყოფო.

სამეურნეო ნაწილის გამგე	1650
ფერშალი ქალი-ბებია	1500
მოწყალების და	1300
დეზინფექტორი	1300
აფთიაქის გამგე	1850
ავადმყოფის მომვლელი ქალი	1050
მზარეული	500
თანაშემწე	400
მრეცხავი ქალი	1100
მრეცხავის თანაშემწე	600
მეეტლე	1000
სანიტარი	1100
მეეზოვე	1100

ელექტრონის, ტელეფონის და წყალსადენის სადგური.

გამგე	1600
კონტროლიორი	1500
მემანქანე	1100
მანტიორი	1100
მუშა	990
ტელეფონზე მომუშავე	1100
დღიური მომუშავე ტელეფონზე	40 დღეშ.
„ „ ზეინკალი	50 „

ხანადირო-სატყეო უბანი.

კანტორის მოხელე	1000
კონტროლიორი	1100
ცხენოსანი დარაჯი	1100
ტყის მცველი	1000
დარაჯი, დამატებითი	500

აწყურის სატყეო უბანი.

კანტორის მოხელე	1000
უფროსი ცხენოსანი დარაჯი	1100
ტყის მცველი	1000

ნეძვის სატყეო უბანი.

კანტორის მოხელე	1350
უფროსი ცხენოსანი დარაჯი	[illegible]
ცხენოსანი დარაჯი	1000

ახალდაბის სახაზინო აგარაკი.

უფროსი ცხენოსანი დარაჯი	1100
ცხენოსანი დარაჯი	1000

ბაკურიანის სატყეო უბანი.

კანტორის მოხელე	1000
ცხენოსანი დარაჯი	1100
ტყის მცველი	1000
დარაჯი	450
ტელეფონისტი	300
მეხრე	450

წაღვერის სატყეო უბანი.

კანტორაში მომუშავე ქალი	840
კულტურ. ზედამხედველი	820
ცხენოსანი დარაჯი	1100
ტყის მცველი	1000
მეჯინიბე	525

შავი წყლის სატყეო უბანი.

კანტორის მოხელე	1300
უფროსი ცხენოსანი დარაჯი	1100
ტყის მცველი	1000
მეეტლე	1000
დარაჯი	1000

თორის სატყეო უბანი.

კანტორის მოხელე	1050
უფროსი ცხენოსანი დარაჯი	1100
ცხენოსანი დარაჯი	1000
ცეცხლის მქრობი დარაჯი	400
დარაჯი	500

სურამის სატყეო უბანი.

კანტორაში მომუშავე	1000
ცხენოსანი დარაჯი	1000
მეჯინიბე	525

ბოთლებში ჩასასხმელი განყოფ.

ბუხჰალტერი	1680
ქარხნის გამგე	2000
კანტორის მოხელე	1260
მანქანით გადამწერი	1050
მეთვალყურე	1150
საწყობის მოსამსახურე	1120
აპპარატზე მომუშავე	1100

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემანქანე	1500
დურგალი	1300
ზეინკალი	1300
გამთბობი	1050
წისქვილის გამგე	1100
ყინულის საკეთებელი მანქანაზედ მომუშავე	1050
გზირი	1000
დარაჯი	1000
მეეტლე	1000
მუშა	990
ბოთლების თავის დამცმელი	1100
დღიური მუშა	40 დღეში.

ჩახაწყობი განყოფილება.

გამგე	1700
მეთვალყურე	1150
მჭედელი	1200
დარაჯი	990
მუშა	990
უმცროსი მეთვალყურე	1050
დღიური მუშა	40 დღეში
მუშა ქალი	37 "

მინის ქარხანა.

გამგე	2200
ბუხგალტერი	1800
მასწავლებელი	1000
მოანგარიშე	1260
კანტორის მოხელე	1100
მასწავლებელი ქალი	1000
ფერშალი ქალი-ბებია	1150
გადამწერი	600
მეთვალყურე	1100
მემანქანე	1150
გამთბობი	1050
ზეინკალი	1400
მჭედელი	1200
მჭედელი მეჩაქუჩე	1100
მექოთნე	1300
უფროსი დურგალი	1470
დურგალი	1260
ზეინკლის შეგირდი	1050
მეწისქვილე	1150
მეეტლე	1000
1 კატეგორიის დარაჯი	1050
2 " "	1000
გადამზიდავი	77 დღეში
ჩამწყობი	1000
ამომრჩევლები	1000
[illegible]	[illegible]
ღუმელში მასალის ჩამყრელი	1000
მასალის ამომრჩეველი	1050
მასალის დამუშვნელი	1050
მყვირალი	1000
უფროსი მეღუმელე	1400
მეღუმელე	1350
დღიური მუშის ამღულებელი.	45 დღეში
ბანკის გამკეთებელი	40 "
დამტრიალებელი	40 "
წამლები	35 "
მანქანა „ბეჟუნზე" მომუშავე	45 "
დღიური მუშა	40 "

აკორდით მომუშავეს ხელ ფასი უდიდდება 40 %.

ბორჯომის სახერხი ქარხანა.

მოანგარიშე	1500
ბუხჰალტერი	1680
კანტორის მოხელე	1300
მეტაბელე (მუშების ამწერი)	1150
მექანიკოსი	1500
უფროსი ნოქარი	1575
ნოქარი	1300
ხეების მიმღები	700
საწყობის ნოქარი	1300
კანტორის მოხელე	1000
ზეინკალი 1 კატეგორიისა	1400
" 2 "	1300
ზეინკალის მოწაფე 1 კატეგორიისა	1000
" " 2 "	900
" " 3 "	800
მჭედელი	1350
მჭედელი მეჩაქუჩე	1200
უფროსი დურგალი	1550
დურგლის მოწაფე 1 კატეგორიისა	1000
" 2 "	900
" 3 "	800
გამთბობი	1050
დურგალი	1400
ქონების მცველი	990
მეხრე	990
დღიური მეხრე	40 დღეში
დღიური მუშა	40 "
მცირე წლოვანი მუშა 1 კატეგ.	30 "
" " " 2 "	25 "
" " " 3 "	22 "

აკორდით მომუშ. ფასი უდიდდება 40%-ით.

სუშბათოვის სახერხი ქარხანა.

გამგე	800
კანტორის მოხელე	1300
უფროსი ნოქარი	1575
2-რე "	1300
3 მე "	1200
მიმღები	1000
ფერშალი	1150
მემანქანე	1350
გამთბობი	1050
დარაჯი	1000
დღიური მუშა	40 დღეში
მცირე წლოვანი	25 30 დღ
აკორდით მომ. ფასი უდიდდება	40%-ით.
დურგალი	1100
მემანქანის თანაშემწე	1150

სუშბათოვის საცავი.

კონტროლიორი	1100
მილიციონერი	1000

ხკიმიდარის საკეთებელი ქარხანა.

1 კათეგორიის მუშა	1200
2 " "	1100
დღიური მუშა	40 დღეში

1919 წ. დეკემბრის 2 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

2 დეკემბრის სხდომა

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია; მინისტრები—ბ-ნნი კანდელაკი, გეგეჭკორი, ერაძე; სახელმწიფო კონტროლიორი—ბ ნი გოგიჩაიშვილი; მინისტრთა ამხანაგები—ბ-ნნი ცინცაძე, ჭ ჭ ნაძე, ავალიანი, გელეიშვილი, ბახტაძე, ქავჟარიძე, გედევანიშვილი, ქარცივაძე; გზათა დეპარტ. დირექტ. ბ-ნი ქიქინაძე, იუსტ. დ პარტ. დირექტ. თანამდ. ალმასრ. ბ-ნი ჟორდანია. მდივანი დ. დიდებულიძე.

შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

დაკმაყოფილებულ იქნეს საქართველოს სა-[illegible] თანახმად ხელშეკრულებისა, მეორე კატეგორიის ქონების საზღვარ გარეთ გატანის შესახებ.

დღიური ნორმები სამხედრო მოსამსახურეთათვის.

სამხედრო მინისტრის მოხსენება სამსახურის საქმეზე გამგზავრების დროს ყველა ხარისხის მოხელეთა დღიურ ნორმების შესახებ გადაეცეს ფინანსთა მინისტრს სამოქალაქო უწყებებში არსებულ დღიურ ნორმებთან შესადარებლათ.

ჯვრის გადასავლის შესანახათ

გადაიდოს გზათა დეპარტამენტის განკარგულებაში 1,786 200 მან. საქართველოს სამხედრო გზის ჯვრის უღელტეხილზე გადასავლის შესანახათ მომავალ ზამთარში. ეს თანხა გამოთხოვილ იქნას სათანადო დეკრეტის წარდგენით დამფ. კრებაში.

გზათა დეპარტამენტის საავტომობილო განყოფილების ხარჯების დაფარვისთვის.

გზათა დეპარტამენტის საავტომობილო განყოფილების სალიკვიდაციო შტატს მიეცეს ჯამაგირები სახელმწიფო კონტროლის დასკვნის მიხედვით, შოფერის ჯამაგირი დარჩეს. გადამცემ კომისიების თავმჯდომარეებს დღიური ფული მიეცეთ თანახმად გზათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ სიისა.

სარეგისტრაციო კომისიას გასამრჯელო მიეცეს თანახმად კონტროლის დასკვნისა. ხარჯი, ნავარაუდევი პროვინციაში გამგზავრების საჭიროებისთვის, ამოიშალოს.

ჯამი ავტომობილების აღმოჩენისათვის ჯილდოს მისაცემად განისაზღვროს 5000 მანეთით.

შემფასებელ კომისიას გასამრჯელო მიეცეს თანახმად გზათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ სიისა.

ვადა ლიკვიდაციისთვის განისაზღვროს შემდეგ ნაირათ: სალიკვიდაციო შტატი—1920 წლ. 1 იანვრამდე, სარეგისტრაციო კომისია 1920 წ. 1 იანვრამდე, გადამცემი კომისიის წევრები—1919 წ. 15 დეკემბრამდე.

ზემოაღნიშნულ ხარჯების დასაფარავად გადაიდოს გზათა დეპარტამენტის განკარგულებაში 10 მილიონიან ფონდიდან 174,286 მან.

შრომის სამინისტროდან.

შრომის სამინისტრო აცხადებს, რომ 12 დეკემბერი გვარდიის დღე უქმეა.

დამფუძნებელი კრება

9 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ხ. მდივანი.

ივ გომართელის მოხსნებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტებისა: 1) სასამართლოს უწყების დაწესებულებათა შტატების შემცირებისა, ჯამაგირის მომატებისა და ზოგიერთ სხვა ცვლილებათა შესახებ, 2) ალექსანდრეს სახელობის ბავშთა თავშესაფარის საჭიროებისათვის ყოველთვიურათ დამატებით 14,734 მან. და 50 კ. გადადების შესახებ.

დ. ონიაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი გზათა დეპარტამენტისათვის 88, 425 მან. კრედიტის გახსნისა მთავარ საავტომობილო სახელოს. გასაფართოებლათ გაწეულ ხარჯის დასაფარავათ.

ი. ფირცხალაიშვილის მოხსენებით მოხდა ზოგადი განხილვა კანონ-პროექტისა აფთიაქის პატრონთა და მოსამსახურეთა ზოგიერთი დანაშაულობისათვის სასჯელის შეცვლის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთ აფთიაქებში დიდი ბოროტ-მოქმედება ხდება, როგორც ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დანიშნულ რევიზიას აღმოუჩენია. სხვა და სხვა აფთიაქებიდან წაღებიათ ქაფური, იოდი და სხ. წამლები. ანალიზის დროს აღმოჩენილა, რომ ქაფური ყალბათ ყოფილა შედგენილი, ასე იოდი და სხ. წამალიც. ასეთი დანაშაულობისათვის წინეთ იყო სულ მცირე სასჯელი და ან ჯარიმა 10—დან 100—მან. ამ კანონ-პროექტის ძალით კი ჯარიმა სრულიად ისპობა და დამნაშავე დაისჯება 1-დან 2—წლამდე დატუსაღებით.

ილ. ფირცხალაიშვილისვე მოხსენებით მუხლობრივი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი აწ მომქმედ თამასუქის წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

გ. ნათაძ ს და ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სააგრონომიო განყოფილების გახსნისა.

თედ. ღლონტის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი რკინის გზის დეპარტამენტისათვის 52,284,290 მან. დამატებითი კრედიტის გახსნისა 1918 წლ. ზენახარჯის დასაფარავად. ამ დეკრეტის ძალით ფაქტიურად ხაზინამ უნ[illegible] ლოდ 3,672,494 მან. დანარჩენ თანხას ფარავს შემოსავალი.

დეკრეტი მაზრის მილიციის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის გადებისა.

მომხსენებელი **დ. ონიაშვილი** აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო იმუშავებს ახალ შტატებს მაზრის ადმინისტრაციისას, მაგრამ, რადგანაც სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ზოგიერთმა ერობებმა დროზე ვერ მიაწოდეს სამინისტროს სათანადო მასალები დღემდე ვერ მოესწრო ამ შტატების გამომუშავება. ამ ჟამად სამინისტრომ მუშაობა დაასრულა და სახელმწიფო კონტროლიორს გადასცა დასკვნისათვის. ამ რიგად ახლო მომავალში ჩვენ შტატებს განვიხილავთ. მანამდე კი ეს დეკრეტი უნდა მივიღოთ.

ლ. შენგელაია (ს.-რ.) აღნიშნავს, რომ იმ ანარქიამ, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში ჰქონდა და აქვს ადგილი ჩვენში, სავსებით დაადასტურა, რომ ჩვენ არავითარი ადმინისტრატიული აპარატი არა გვაქვს მოწყობილი. ჩვენი ადმინისტრაციის დამახასიათებელი ის არის, რომ მას არა აქვს არავითარი პოლიტიკური და უფლებრივი შეგნება. მას ყველაფერი თავისებურად ესმის. ამ ანარქიასთან ბრძოლაც თავისებურად გაიგო და ამიტომაც არის, რომ ის აპატიმრებს ისეთ ხალხს, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. რაც შეეხება ადმინისტრაციის ზნეობრივ მხარეს ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. არ არის ისეთი დანაშაული, რომელზედაც ადმინისტრაცია ხელს არ აწერდეს. ორატორს მოჰყავს გაზეთ „ერთობა"-დან ზოგიერთი ადგილები, სადაც ლაპარაკია ზოგიერთი მილიციონერის და ადმინისტრატორის დანაშაულობაზე და ამბობს: ჩვენი ადმინისტრაცია წარმოადგენს ყაჩაღთა ბრბოს და მას ჩვენ კრედიტს ვერ გაუხსნით.

თავმჯდომარე. ბ. ორატორო, თქვენ უწოდეთ მილიციას ყაჩაღთა ბრბო, თქვენ ამისთვის საკმაო საბუთი არა გაქვთ, თქვენ შეგიძლიათ ადმინისტრაციას ებრძოლოთ, მაგრამ მოგიწოდებთ ფრთხილათ ლაპარაკისაკენ.

ლ. შენგელაია. ჩვენი ადმინისტრაცია სუსტი გამოდგა ანარქიასთან ბრძოლაში, მან ვერ მოახერხა გადასახადების აკრეფა, ყაჩაღების თარეშის მოსპობა და სხვ. ამიტომ ჩვენს ფრაქციას არ შეუძლია ამ დეკრეტს ხმა მისცეს.

მ. რუსია. (ს. დ.) როგორც დამფუძნებელ კრებას მოეხსენება მილიცია არის ადგილობრივ თვითმართველობათა ხელში: სოფლათ ერობების და ქალაქათ ქალაქის თვითმართველობის ხელში. აი ამ ტრიბუნიდან შენგელაია ამტკიცებს, რომ ამ დემოკრატიულმა თვითმართველობებმა თავიანთ გარშემო შემოიკრიბეს ყაჩაღთა ბრბოები, რომელნიც სძარცვავენ და აწიოკებენ ხალხს. მე თქვენ გეკითხებით: რა არის ეს? არის თუ არა ეს აგიტაცია თვითმმართველობის წინააღმდეგ? მე მივმართავ ადგილობრივ თვითმმართველობებს დააფასონ თუ ვისთვის არის სასარგებლო თქვენი მოღვაწეობა.

ერობებმა და ქალაქებმა მთავრობას მიმართეს თხოვნით, რომ მას გაეღო მილიციის შესანახათ თანხა, შენგელაიამ უკვე გასცა პასუხი ამ შუამდგომლობას. მე მესმის, როცა „ერთობა" და „ბორბა" სწერს მილიციის ზოგიერთ ნაკლულევანებაზე, ამით ის ეხმარება თვითმმართველობებს მილიციის გაწმენდაში. შენგელაია კი სახელს უტეხს დემოკრატიას, მან მთელი მილიცია ყაჩაღთა ბრბოთ მონათლა. ეს ყოვლათ დაუშვებელია.

ნ. რამიშვილის სიტყვა.

მე არ მომისმენია თავიდან ბ. შენგელაიას სიტყვა, მაგრამ ვიცი რომ ეს იქნებოდა გაგრძელება იმ მორიგი ლექციისა, რომელსაც ის აქ წინეთ კითხულობდა. ჩვენ მუდამ გვეუბნებოდენ, რომ თქვენ წაართვით უფლებები ადგილობრივ თვითმმართველობებსო. როცა ჩვენ გადავეცით ადმინისტრაცია თვითმმართველობებს, აქ გამოდიან და გვეუბნებიან: თქვენ ვერ მოაწყვეთ ადმინისტრაციის საქმეო. მე უნდა განვაცხადო, რომ კანონის ძალით მთავრობას აქვს ადმინისტრაციის კონტროლის და საერთო ხელმძღვანელობის უფლება. მთავრობა მოქმედობს ამ კანონის ფარგლებში და ადმინისტრაციას თუ რამე ნაკლი აქვს, ნაკლი კი სახელმწიფოს ყველა დარგში არის, და ეს ნაკლი აქვს ადმინისტრაციასაც, მაგრამ ამაზე პასუხი უნდა მოეთხოვოს ადგილობრივ თვითმმართველობებს. სოც. რევოლიუციონერები კი ასე არ იქცევიან. მათ სახელმწიფოებრივი მოსაზრება როდი ალაპარაკებთ, მათ ამოძრავებს პარტიული მოსაზრებები.

აქ იყო ნათქვამი რომ ადმინისტრაცია აძლიერებს ანარქიასო, ეს გამოსვლა, უნდა განვაცხადო თქვენს წინაშე, ჩრომ რამოდენიმეთ მაინც გამოწვეული იყო იმ ზომებით, რომელიც მიიღო ჩვენმა ადმინისტრაციამ ზუგდიდის მაზრაში სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის ზოგიერთ წევრთა წინააღმდეგ.

ლ. შენგელია: ეს დემაგოგიაა.

ნ. რამიშვილი. მე მაქვს ფაქტები: ზუგდიდის მაზრაში დაპატიმრებულ იქნა ცნობილი მამფორია, რომელმაც მთელი მაზრა აიკლო და რომელიც სოც. რევოლიუციონერთა პარტიის წევრია, მის განთავისუფლების შესახებ რამოდენიმეჯერ მომმართეს მე სოც.-რევ. დეპუტატებმა.

რაც შეეხება ყაჩაღებთან ბრძოლას, ყველამ იცის თუ რა დიდ ზომებს ღებულობს ადმინისტრაცია ყაჩაღთა შესაპყრობათ და უნდა განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ მთავარი ჯგუფები ყაჩაღებისა ყველგან შეპყრობილია (ლ. შენგელაია, ეს ჯარმა და გვარდიამ გააკეთა).

გვარდია და ადმინისტრაცია ყაჩაღთა წინააღმდეგ ერთად მოქმედობენ.

აქ იყო ნათქვამი აგრეთვე, რომ ადმინისტრაცია აძლიერებს დეზერტირობასო, ეს მტკნარი სიცრუეა, თქვენ ალბათ იცით, მოქალაქენო, რომ უკანასკნელი მობილიზაცია ჩატარდა გაცილებით უკეთესად, ვინემ ეს ხდებოდა წინეთ.

ბ. შენგელაია გვისაყვედურებდა გადასახადის ასაკრეფათ ზომებს არ ღებულობთო.

აქვს თუ არა უფლება გადასახადის აკრეფის შესახებ ილაპარაკოს იმ პარტიამ, რომელმაც ზუგდიდის სამაზრო ერობაში ერთდროული გადასახადის წინააღმდეგ გაილაშქრა და მისი მოხსნა მოითხოვა? ის პარტია, რომელიც ასეთი ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ეწევა ერობაში, არავითარი უფლება არა აქვს გადასახადის შესახებ ილაპარაკოს. ისინი ასეთ აგიტაციას არა მარტო ერობაში ეწევიან, არამედ ყველგან. ისინი ეუბნებიან ხალხს, რომ არავითარი გადასახადი არ გაიღონ და სხვ. მაგრამ ადმინისტრაციას მაინც მიღებული აქვს ზომები და წინააღმდეგ თქვენი სურვილისა ბ. შენგელაია, მის აკრეფას ჩვენ შევსძლებთ. ყველა ამის შემდეგ მე თქვენ გეკითხებით: რა უფლების ძალით გამოდიხართ აქ და სხვას უსაყვედურებთ გადასახადის ასაკრეფათ ზომებს არ ღებულობენო.

ხვალ, 12 დეკ. სახალხო გვარდიის დღეა

ამას წინეთ ჩვენ მოვიწვიეთ თათბირი, რომელსაც დაესწრენ ყველა უწყების წარმომადგენელნი და კომისრები. იქ ჩვენ ვლაპარაკობდით დეზერტირობის, ყაჩაღობის საბრძოლველ ზომებზე. იქ სხვათა შორის დასმული იყო საკითხი მილიციის შესახებ. იქ არ იყო ლაპარაკი მილიციის სრულ უვარგისობაზე, არამედ გადახალისებაზე და ზოგიერთ კერძო შემადგენლობის შეცვლაზე. იქ დავადგინეთ აგრეთვე კურსების მოწყობა მილიციისათვის. ეს კურსები მოხდება ნაწილ-ნაწილათ მაზრებში და მთავრობა არ ფიქრობს მთელი მილიციის მოხსნას და ტფილისში მოწვევას, როგორც ეს ბ. შენგელაიას ჰგონია. თათბირზე დადგენილი იყო აგრეთვე მცხოვრებთა განიარაღება, რაც ნაყოფიერათ სწარმოებს კიდევაც.

აქ შენგელაიამ განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ანარქიას ებრძვის მაშინ, როცა ის არსებობს და მაშინაც, როცა ის არ არსებობს. გამოდის, რომ ანარქიას ქმნიან. მართლაც ქმნიან ანარქიას, მაგრამ არა მთავრობა, არამედ ზოგიერთი პარტიები. როცა თქვენ (მიმართავს სოც.-რევ.) აშკარა აგიტაციას ეწევით გადასახადების წინააღმდეგ და ანარქიას უმზადებთ ნიადაგს, მაშინ მთავრობა ვალდებულია თუ არა მიიღოს ამის წინააღმდეგ ზომები? დიახ, ვალდებულია, ის იღებს და კიდევაც მიიღებს ანარქიის წინააღმდეგ ზომებს. ნუ თუ თქვენ, ბ. სოც.-რევ., იმ განცხადებებმა და საბუთებმა, რომელიც გამოქვეყნებული იყო არ დაგიმტკიცათ, რომ ჩვენს რესპუბლიკაზე სერიოზული თავდასხმა მზადდებოდა? და თუ ყველგან არ მოხდა ეს, სწორედ ჩვენი ადმინისტრაციის წყალობით, რომელმაც პირდაპირ შეუწყალა ხელი მეამბოხეებს.

აქ შენგელაიამ განაცხადა, რომ ადმინისტრაცია მონაწილეობას იღებდა არჩევნებშიო; და თუ მართლაც ადმინისტრაცია რაიმე მონაწილეობას იღებდა არჩევნებში, რაც კანონის ძალით აკრძალულია, რათ არ მოახსენეთ ეს საბუთი დამფუძნებელ კრებას მანდატების განხილვის დროს? თუ არ მიიღებდა თქვენს წინადადებას, თქვენ მორალური უფლება მაინც გექნებოდათ და ხალხი გაიგებდა სიმართლეს. (გობეჩია: ხალხმა იცის) ხალხმა იცის და გაკვირვებული არის თქვენს ვინაობაში, ხალხი რომ გარკვეული არ იყოს, მაშინ აქ გაცილებით უფრო მეტი წარმომადგენლები იქნებოდა თქვენი პარტიისა.

დასასრულ უნდა განვაცხადო, რომ ადმინისტრაციის გადასახალისებლათ მუშაობა სწარმოებდა და ახლაც სწარმოებს და მთავრობას სრული იმედი აქვს, რომ ერთი ან 2 წლის განმავლობაში მოხდება მისი ადმინისტრაციის სრული გადახალისება. შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს ლ. შენგელაიამ და რ. არსენიძემ. მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქმნა. წინააღმდეგ მისცეს ხმა სოც. რევოლიუციონერებმა

დ. ონიაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქალაქების მილიციის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის გადიდებისა.

დ. ონიაშვილისავე მოხსენებით მუხლობრივი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონპროექტი ნავთსადგურებში გადასახადთა ახალი ნიხრის დაწესების შესახებ.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სამხედრო სამინისტროს ვალების დასაფარავათ 4 მილიონი მან. გადადების შესახებ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი აფხაზეთის, სვანეთის და სხვა განაპირა კუთხეთა ახალგაზდებისათვის სტიპენდიების დასანიშნავათ 200000 მან. გადადების შესახებ.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 86,867 მან. გადადებისა—იუსტიციის სამინისტროს დაწესებულებათა 1918 წ. ვალების გადასახდელათ.

დასასრულ **პ. ბერიშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა კანონ პროექტი მუშათა დაზღვევის კანონის მე 65 ე მუხლის შეცვლის შესახებ. რადგანაც პარასკევს სახალხო გვარდიის დღეა, შემდეგი სხდომა მოხდება შაბათს, 13 დეკემბერს.

ტფილისის თვითმართველობაში

პურის მიღებისათვის.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება 1 იანვრიდან მოსამსახურეთა და მუშებს მისცემს პურს მხოლოდ სათანადო ბარათებით. ბარათებს, სათანადო დაწესებულების მიერ წარდგენილ სიის მიხედვით იძლევა ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

იაფი ჩაი.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება აძლევს მოსამსახურეებს, მუშებს და აგრეთვე ქალაქ ტფილისის მოქალაქეთ ჩვენებურ ჩაის გირვანქას 16 მან.

კომბოსტო მოქალაქეთათვის.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება აძლევს მოსამსახურეებს, მუშებს, დაწესებულებებს და აგრეთვე ქალ. ტფილისის მოქალაქეთ კომბოსტოს (განუსაზღვრელ რაოდენობას) 55 მან. ფუთს.

—

ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა მოსამსახურეებს მიეცეს წამალი ავათმყოფობის დროს 20% დაკლებით. ამ დადგენილებამ ვერ დააკმაყოფილა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირის გამგეობა და მოითხოვს წამალი მიეცეს მოსამსახურეთ სრულიად უფასოთ. ამ მოთხოვნილებას ქალაქის გამგეობა დღეს განიხილავს.

—

ქალაქის თვითმართველობამ ტფ. კომისრებს შემდეგი წერილობითი განცხადებით მიმართა: გთხოვთ სისტემატიურათ კვირაში ერთხელ აგზავნოთ ქალაქის თვითმართველობაში ცნობები იმის შესახებ თუ რამდენი დადგენილება იქნა გამოტანილი საუბნო საკონტროლო კომისიების მიერ ამა თუ იმ უსაქმო პირის გადასახლების შესახებ და რამდენი ოჯახი და სული გავიდა ტფილისიდან თანახმათ აღნიშნულ დადგენილებისა.

—

ქალაქის თავს სხვა და სხვა დაწესებულებიდან და პირთაგან საყვედურები მოსდის ტელეფონის სადგურში მოსამსახურეთა შესახებ, რომ უკანასკნელნი არ აქცევენ ყურადღებას ტელეფონით ლაპარაკის მსურველის საჩქაროთ დაკმაყოფილებას. ამის გამო ქალაქის თავმა მიმართა ფოსტა-ტელეგრაფის ქსელის უფროსს თხოვნით, რათა გამოსწორებულ იქნას ეს მდგომარეობა.

დადგენილება.

მიენდოს საუბნო საკონტროლო კომისიებს სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს მოთხოვნილების თანახმათ გადასახლებულთათვის მოწმობების მიცემა საოჯახო ნივთებისა და თითო ოჯახზე ერთი ნოხის რესპუბლიკის საზღვრებიდან გატანის შესახებ. ამისათვის ეხლავე უნდა ეცნობოს ყველა კომისიებს სათანადო მიწერ მოწერის ასლის გადაგზავნათ.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, რომლებიც შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილების ძალით უნდა გადასახლდნენ ტფილისიდგან, რომ ქალაქის გამგეობა შეუთანხმდა რკინის გზის სამმართველოს და მათთვის შესაძლებელი არის დაინიშნოს განსაკუთრებული მატარებლები თბილი ვაგონებით (ტეპლუშკებით) ტფილისიდგან ბათუმამდე.

მატარებელი გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მსურველთა რიცხვი იქნება 300—400 სულამდე. თვითეულ ვაგონში მოთავსდება 40 კაცი, რომლებმაც უნდა გადაიხადონ მთელი ვაგონის ქირა 2,160 მანეთი (თითო კაცს ხვდება 54 მან). ბარგი გაიგზავნება იმავე მატარებლით და ღირს ფუთი 9 მან. 34 კაპ. ცნობებისთვის უნდა მიმართონ რკინის გზის სამმართველოში (ვაგზლისა და ელიზავეტის ქუჩების კუთხეში) ექსპლოატაციის უფროსს.

ერობა.

მედიკამენტების შესაძენათ

ერობათა ცენტრალურ კავშირის გამგეობა სთხოვს მთავრობას შეიძინოს საზღვარ გარეთ მედიკამენტები. თუ მთავრობა არ იკისრებს ამ საქმე', მაშინ გამგეობა ითხოვს ნებართვას მთავრობ საგან, რომ მას გადასცეს სავალიუტო საქონელი, რათა თვით შეიძინოს მედიკამენტები.

შუამდგომლობა.

შორაპნის სამაზრო ერობა სთხოვს ერობათა ცენტრს იშუამდგომლოს მიწათ-მოქმედების მინისტრის წინაშე, რათა ნება დართონ ერობას ტყეებისა და საიგარაკო ადგილების ექსპლოატაციის.

—

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა გადაეცეს მას სახელმწიფო ჭაობიანი ადგილები ამოსაშრობათ.

წვრილი ერთეულები.

დამფუძნებელ კრების საერობო კომისიამ დაადგინა საერობო წვრილი ერთეულები: თიანეთის; წოვის, ჭაგლის, პირიქითის და გომეწარის შეუერთდეს თელავის სამაზრო ერობას.

მუნიციპალური ცხოვრება.

სოხუმის ქალაქის საბჭოს დადგენილებანი.

ცენტრალურ მთავრობიდან ფულის სესხების შესახებ სოხუმის ქალაქის საბჭომ დაადგინა: გაიგზავნოს ქალაქის თავი ტფილისში ფულის სასესხებლად ცენტრალურ მთავრობიდან ჯარის სურსათისთვის და მილიციის შესანახათ, აგრეთვე მან უნდა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა მიეცეთ სესხათ 200,000 მან.

—

მატროსთა „სლობოდკის“ შესახებ საკითხი გადაიდოს შემდეგ სხდომამდე და ამ დროს ეთხოვოს გამგეობას დაგზავნოს მოხსენებები ფრაქციებში.

—

მიენდოს ქალაქის თავს პრინციპიალურად საკითხის გამორკვევა იმის შესახებ შეიძლება თუ არა ქარხნის მიყიდვა ქალაქის თვითმართველობაზე და თუ შეიძლება რა პირობებში.

—

დამტკიცდეს ნიხრი ხორცზე და ეთხოვოს გამგეობას, რათა ნიხრი დაადოს ყველა პროდუქტებს.

—

გადაიდოს 5000 მან. სოხუმის პირველ გიმნაზიაში ათი პაის შესაძენათ და ეთხოვოს გამგეობას გადაიხადოს შეძლების დაგვარად.

—

გადიდებულ იქნეს ბუნების მოყვარულ საზოგადოების დახმარება 1500 მან. წელიწადში იმ პირობით, რომ გამგეობაში მონაწილეობას მიიღებს ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელი.

—

მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ბ. ხაქომია.

—

საბჭომ დაადგინა: ვინაიდან არავითარი საშუალება არ არის ფანრების შეძენისა, მიენდოს ქალ. გამგეობას იშუამდგომლოს აფხაზეთის კომისარიატის წინაშე, რათა შეცვლილ იქნეს მისი განკარგულება ეზოების განათების შესახებ ნავთის ფანრით და მოეთხოვოს ელექტროს საზოგადოებას ქუჩების ნორმალური განათება.

—

რეალურ სასწავლებლის შენობის შეკეთების შესახებ საბჭომ დაადგინა: ეს საკითხი გადაიდოს და ეთხოვოს ქ. გამგეობას შეკრიბოს ცნობები თუ რა ვალდებულებანი მიიღო თავის თავზე ქალაქის თვითმმართველობამ რეალურ სასწავლებლის დაარსების დროს.

—

საბჭომ დაადგინა: მიეცეს გვინჯილიას სალიკვიდაციო.

—

მიეცეს დგებუაძეს და ერემეევას 2000 მან. თითოს, როგორც ფასი ცოფიან ძაღლის ნაკბენიდან წამლობისა.

—

იმ ლვაწლის გამო, რომელიც მიუძღვის ი. მ. ალოიზის ქალაქის წინაშე, ის დასაფლავდეს პოლონურ ეკლესიის გალავანში და თანაგრძნობა გამოეცხადოს მის ოჯახს ქ. თვით მართველობის სახელით.

—

პროდუქტების დანიხვრის შესახებ საბჭომ დადგინა: 1. მიიღოს ნიხრი ზოგი შესწორებით, 2. მიენდოს ქალაქის გამგეობას გამოძებნოს საშუალება მცხოვრებთა სიმინდის ფქვილით უზრუნველყოფა და შემდეგ მისი დანიხვრა, 3. აეკრძალოს სპეკულიანტებს ბაზარზე ვაჭრობა, 4. ეთხოვოს ერობას ებრძოლოს სპეკულიანტებს სოფელში, 5. მოეწყოს სიძვირესთან და სპეკულიაციასთან მებრძოლი კომისია, რომელშიც უნდა არჩეულ იქნეს შაბრანოვი, ანდრეევი, ნადარეიშვილი და კედია და მოწვეულ იქნეს წარმომადგენლები აფხაზეთის კომისარიატის, ერობის, სამხედრო უწყების და პროფესიონალურ კავშირების.

—

მოსამსახურეთა პენსიის წესი, 1. გადაეცეს იურიდიულ და ფინანსიურ კომისიას ექიმისა და მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენლის მოწვევით, კომისიაში განხილვის შემდეგ დაეგზავნოს ფრაქციებს. 2. იურიდიულ კომისიაში არჩეულ იქნას მახარაძე, ფინანსიურში თურქია და გელოვანის მაგიერ გვინჯილია.

—

საბჭომ დაადგინა არ გადაახდევინოს 2300 მან. ე. ი. 50% საიჯარო გადასახადი იმ პირთ, რომელთა მიწებზე მოსავალი სეტყვამ გაანადგურა.

—

საბჭომ ერთი წლით გადიდა კორჩიცის პენსია 2400 მ. 1919 წ. 24 ივნისიდან, და კეზულორიასი 1 ოქტომბრიდან 1200 მანეთამდე.

—

მომრიგებელ მოსამართლეთ არჩეულ იქნა პაიჭაძე.

—

სასამართლოს სხდომაზე წარმომადგენლათ არჩეულ იქნენ ჯულელი, შაბრანოვი, ანდრეევი.

—

გოკიელოვის თხოვნის თანახმათ, საბჭო ადიდებს ოლქ. სასამ. ბინის გადასახადს 51200 მანეთამდე წელიწადში საიჯარო ვადის ბოლომდე, იმ პირობით, რომ გოკიელოვებმ უფასოთ დაუთმოს სამი ოთახი ქალაქის სამკითხველოსთვის.

—

ბინის კამერის თავმჯდომარეთ საბჭო ირჩევს ანდრეევს.

—

საბჭომ დაადგინა მიეცეს გარდაცვალებულ სპირიდონ მიმინოშვილის ოჯახს დახმარების სახით 5000 მან.

უცხოეთი

რუსეთი

რუსეთის კომუნისტთა ყრილობა. 4 დეკემბერს გაიხსნა სრულიად რუსეთის კომუნისტთა ყრილობა. ყრილობას სხვათა შორის, კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით მიესალმა მიკოიანი. პოლიტიკურ მომენტზე მოხსენება გააკეთა ლენინმა. მან აღნიშნა მიზეზი საბჭოთა მთავრობის ძლიერებისა, მიუხედავათ საერთაშორისო მომენტის სირთულისა, განსაკუთრებით საბჭოთა რუსეთისათვის. მისი აზრით, საჭიროა მუშაობის გაცხოველება, რათა მკვიდრი საფუძველი ჩაეყაროს სოციალისტურ საზოგადოებას. ამისათვის კი საჭიროა პრაქტიკულად გადაწყვეტა სამი უმთავრესი კითხვისა: პურის, სათბობ მასალის და ეპიდემიასთან ბრძოლის. შემდეგი სხდომა მოანდომეს ორგანიზაციულ კითხვას და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის საკითხს უკრაინაში. უკანასკნელ კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ლენინმა. მოხსენების შემდეგ გაიმართა ცხარე კამათი. დასასრულ მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც ამართლებს ც. კ. პოლიტიკურ ხაზს. 5 დეკემბერს კონფერენციამ განიხილა საბჭოთა აღმაშენებლობის საკითხი. კონსტიტუციის ტექსტში არავითარი ცვლილება არ შეუტანიათ. პარტიის წესდების შესახებ მომხსენებელი იყო ზინოვიევი. მიღებულ იქნა სხვა და სხვა შესწორებანი და დამატებები. გაუქმებულ იქნა ე. წ. „თანამგრძნობთა ინსტიტუტი“. პარტიულ მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ბუხარინი. მოხსენებას საფუძვლად ედო შემდეგი პრინციპები: კომუნ. პარტიის წევრთა განვითარება და პოლიტიკური აღზრდა. „საქმიანი მუშაობა“. (ამაში იგულისხმება მასიური მუშაობა—კომუნისტური „შაბათი“, „კვირა“ და აგრეთვე მუშაობა კონტროლის, ინსპექციის და სხვათა შესასწავლად) და სამხედრო სწავლა.

ზავის საკითხი. მიღებული ცნობებით საბჭოთა რუსეთი მიმხრე იქნება ზავისა მოკავში-

რეებთან, ცხოლოდ იმ პირობით თუ მოკავშირეები არ ჩაერევიან რუსეთის შინაურ საქმეებში და არ მოისურვებენ მის დაშლას. მოსკოვის რადიოში ნათქვამია: საბჭოთა მე 7 ყრილობამ ისეთი ზავი უნდა შეჰკრას, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკის ღირსებას შეეფერება.

მოხალისეთა კასპიის ფლოტი. მოხალისეთა სარდლობამ წინადადებით მიმართა ადერბეიჯანის მთავრობას, რათა უკანასკნელმა ნება დართოს მოხალისეთა კასპიის ფლოტის მმართველობას შეაკეთოს დაზიანებული გემები ადერბეიჯანის ნავთსადგურებში. ადერბეიჯანის მთავრობამ ამაზე უარით უპასუხა.

ინგლისი.

საერთაშორისო ზავები. ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ცნობები ავსტრია-გერმანიის დელეგაციის გამგზავრების შესახებ ლონდონში შიმშილობასთან მებრძოლ საერთაშორისო საბჭოს კონფერენციაზე დასასწრებლათ. გაზ. „ტან“-ის კორესპოდენტის შეკრებილი ცნობების თანახმად კონფერენციას უკვე დაუწყია მუშაობა 4 ნოემბერს; კონფერენციის სხდომები დახურულ კარებში ხდება. კონფერენციაზე 150 დელეგატია, უმრავლესობა ინგლისელები. საბჭოს მოწყობის ინიციატორები ომის დროს „პაციფისტთა“ ჯგუფს ეკუთვნოდენ. კონფერენციას სხვათა შორის განსახილველ საგანთა სიაში მოუთავსებია საკითხი საზავო ხელშეკრულების ეკონომიურ პირობათა გადასინჯვის შესახებ.

ომის მსხვერპლი. ბელგიამ დაჰკარგა 44,000 კაცი, შეერთ. შტატებმა 114,000, დიდმა ბრიტანეთმა 869,000, საბერძნეთმა 12,000 იტალიამ 494,000, რუმინიამ 400,000-მდე, რუსეთმა 1,290,000, სერბიამ 297,000, გერმანიამ 2,049,000, ავსტრო-უნგრეთმა 1 542,817, ბოლგარეთმა 101,224, ოსმალეთმა 325,000. ცოცხლად ტყვეთ ჩავარდნილთა რიცხვი: ბელგიის 70,000 კაცი, საფრანგეთის 485,400, ინგლისის 171,000, რუსეთის 2,900,000, შეერთ. შტ. 4,800, იტალიის 485,000, სერბიის 82,400 და საბერძნეთის 7,400 კაცი. ცნობები შედგენილია 1918 წლის 11 ნოემბრამდე, ე. ი. სანამ დროებითი ზავი შეიკვრებოდა.

ჩეხო-სლოვაკია.

ჯარის ორგანიზაცია. ოქტომბრის დამლევს პრაგაში შედგა კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლებმა და თავდაცვის კომიტეტის წევრებმა. კონფერენციამ განიხილა ჯარის ორგანიზაციის ახალი პრინციპები. მან რეაქციის საშიშროების გამო, გადასწყვიტა ჯარში სავალდებულო სამსახურის შემოღება და განსაზღვრა ჯარის რაოდენობა მშვიდობიან დროს 111,255 ჯარის კაცით, რაც შეეხება დროს სამხედრო სამსახურის, საფრანგეთში მისიამ წინადადება შეიტანა ორი წელიწადი; რომლის დროსაც აფიცრობის რაოდენობა უნდა განისაზღვრებოდეს 7,193-ით და წლიური ხარჯები ჯარის შესანახად უნდა უდრიდეს 1 მილიარდ და 408 მილ.

ადერბეიჯანი.

მუშა და ადმინისტრატორი. 26 ნოემბერს ნობელის ქარხნის ერთ-ერთ ადმინისტრატორმა დაითხოვა მუშა აბდულ ასკ როვი. მუშათა კავშირის სარაიონო გამგეობამ ამის შესახებ წერილი გაუგზავნა მუშის ხელით ქარხნის მმართველს. უკანასკნელმა აიღო წერილი და რა დაინახა რომ წერილი მუშისა იყო,—შორს გადაისროლა. ამის გამო მუშათა კავშირის ცენტრალურმა სამმართველომ მიმართა შრომის ინსპექციას, რომელსაც სთხოვს მიიღოს ზომები თავგასულ ადმინისტრატორების ასალაგმავათ.

დენიკინი და ადერბეიჯანი. 9 ნოემბერს გენ. დენიკინმა შემდეგი ბრძანება გასცა: „ვინაიდან ადერბეიჯანის მთავრობა მტრულათ ეკიდება რუსეთის ჯარს და ვინაიდან ადერბეიჯანის ჯარები მუხანათურად დაესხნენ თავს სომხეთის ნაწილს,—ვუბრძანებ ყველა რუსის სამსახურის აფიცრებს, რომლებიც ადერბეიჯანის ჯარებში მსახურობენ, მიატოვონ აღნიშნული ჯარის ნაწილები.

სომხეთი.

მარილი და ქვა ნახშირი. კაგიზმანის მარილის წარმოება ნორმალურათ მიმდინარეობს. ამოღებულ მარილის რაოდენობა დღითი-დღე იზრდება. მომავალ წლიდან განზრახულია შეუდგენ ოლთისის რაიონის ქვა ნახშირის დამუშავებას; მაგრამ დიდ დაბრკოლებას იწვევს სხვა და სხვა სპეციალისტების სიმცირე. მიღებულია წინასწარი ზომები, რათა მოეწყოს სამთო საქმის მუზეუმი, ლაბორატორია და სპეციალური ბიბლიოთეკა.

სხვა და სხვა.

სახალხო სახლი. დღეს საღამოს ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ მესამეთ წარმოდგენილი იქნება—რევოლუციონური ქორწილი—პიესა 3 მოქ. კ. მიხაილისა, თარგ. კ. ხახანაშვილისა. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ საათზე.

✦ საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს სხდომა, დანიშნული 12 დეკემბერს, გადატანილია 13 დეკემბრისთვის ამა წლისა.

✦ ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობის შეკეთება მოკლე ხანში დამთავრდება. შენობის ზედა სართულში რუსთაველის პროსპექტის მხრით შესავლის თავზე მოთავსებული იქნება მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტი და კანცელარია. მეორე სართულის მარჯვენა ნაწილში რუსთაველის პროსპექტის მხრით მოთავსებული იქნება სამხედრო და შინაგან საქმეთა სამინისტროები; შენობის შემდეგ და უკანა ნაწილებში მოთავსდება სხვა სამინისტროები.

✦ 19 დეკემბერს, პარასკევს სახალხო თეატრში დანიშნულია ქართული ორიგინალური ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ მუს. დ. არაყიშვილისა. ამსრულებელია ქართ. საოპერო სტუდია ქ. სამუსიკო საზ—ბისა და საქ. ცენტ. კოოპერატივთა კავშირისა.

✦ კვირას, 14 დეკემბერს, დილის 10 საათზე წრის კანტორაში პლეხანოვის პრ. № 102 დანიშნულია საზოგადო კრება კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის წევრებისა. დღის წეს-რიგი: 1) დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრებისა; 2) სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები; 3) მიმდინარე კითხვები.

✦ გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება ს. ორბელში (ლეჩხუმის მაზრა). კორესპონდენციის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს ქუთაისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორასთან.

✦ გაიხსნა ფოსტა ტელეგრაფის განყოფილება სოფ. მეჯვრისხევში გორის მაზრა). კორესპონდენციის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს გორის ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებასთან.

მილიციაში.

კლუბების დათვალიერება.

სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგმა კანდელაკმა სასხლის სამართლის მილიციის უფროსის თანხლებით დაათვალიერა ტფილისში ახლათ გახსნილი კლუბები, სადაც აღმოჩენილ იქნა აკრძალულ ქაღალდის თამაში დააკავეს 180 ათასი მან. ის ოთახები, სადაც თამაშობა სწარმოებდა დაბეჭდეს.

18,000 მანეთის მოპარვა.

ევროპა-კავკასიის სავაჭრო ბანკის წევრებმა განუცხადეს სისხლის სამართლის მილიციას, რომ მოლარე ვოლნოვს მოჰპარეს სალაროდან 18,000 მან. ამ ფულის დაკარგვის დღეს სალაროსთან იდგა ამავე ბანკის დარაჯი ვასილ პროკოფიევი, რომელიც მილიციამ დააპატიმრა.

დაპატიმრება.

3 დეკემბერს ანნა ბაკლოვსკაიამ განუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ მას მოჰპარეს თეთრეული 6250 მ. ღირებული. მას ეჭვი აქვს მრეცხავზე. მრეცხავი ანისია ვეჭსელი მილიციამ დააპატიმრა, მაგრამ ის არ თვლის თავის თავს დამნაშავეთ.

განცხადებანი

ქ. ტფილისის მე-6 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნერსეს ვართანის ძე მირზაიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება მირზაიანცის ქონებაზე სამ. კან. კრებულის 1 ნ. X ტ. 1241 მ. აღნიშნულ ვადაში. 172 1—1

თელავის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სოფ. რუისპირში (თელავის მაზრა) მცხოვრების ანდრია სოსიას ძე ირემაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ირემაძის ქონებაზე თანახმათ 1104 მუხ. X ტომ. სამოქ. კან. კრებ. 147 1—1

ფოთის სახალხო გვარდიის შტაბი ამით აცხადებს ადმინისტრაციისა და სახალხო გვარდიის შტაბების საყურადღებოთ, რომ ის მოწმობები იარაღის ტარებისა, რომელიც ხსენებულ შტაბის მიერ იყო გაცემული ამა წლის 20 ნოემბრიდან გაუქმებულათ ითვლება. 188 3—1

ნიკოლოზ ივანეს ძე თოროზოვი აცხადებს რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ქ. გორის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან № 1819 და საგუბერნიო ციხეში ყოფნის ნებართვა მიღებული ტფილისის პირველ საგუბერნიო ციხიდან. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 350 3—2

დაკარგულია სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დავით ჯოჯულავას მიერ აღებული მატრიკული № 957. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 351 3—2

მიხეილ დავითის ძე ჯიბლაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ამიერ-კავკასიის ბანკის დროებით კვიტანცია № 1857. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 278 3—3

რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა თანახმად კავშირის საბჭოს დადგენილებისა აცხადებს წევრების საყურადღებოთ, რომ პირველ იანვრიდან 1920 . კავშირის მიერ გაცემული ყველა საწევრო ბარათები გაუქმებულად ითვლება. პირველ იანვრისათვის ყოველმა კავშირის წევრმა უნდა წარმოადგინოს კავშირში თავისი პატარა ფოტოგრაფიული სურათი, რის შემდეგ ამ სურათ დაკრული მიეცემა ახალი საწევრო ბარათი. (უ) 3—1

საქართველოს რკინის გზის სამმართველო 1919 დეკემბრის 13-სთვის დღის 12 საათ. იწვევს კონკურენციას დაბეჭდილ განცხადებით 1 წლის ვადით ბუფეტების, სავაჭრო პალატების და სადალაქოების იჯარით გასაცემათ შემდეგ სადგურებზე: ფოთი, რიონი, ქუთაისი, შორაპანი, ჭიათურა და სანაინი—ბუფეტები ცხელი საჭმელით და პალატკებით;—ჩაქვა, ქობულეთი, ნოტანები, სუფსა, აბაშა, ტყვიბული, ზესტაფონი, ბორჯომ-პარკი, მცხეთა, ყარაიაზი, სადახლო, სანდარი, ჭალადიდი და ფოთი-პორტი ბუფეტები ცივ საჭმელებით და პალატკებით; ჯუმათი, საჯევახო, ხარაგოული, მოლითი, სურამი და ქსანკა—სავაჭრო პალატკები. ჭიათურა, მცხეთა, ახალ-სენაკი, ნავთლუღი, სანაინი და აბაშა—სადალაქოები. განცხადების შეტანა შეიძლება პირადათ, ან ფოსტით. განცხადებას თან უნდა ერთვას კვიტანციები წინასწარ საწინდარის რაოდენობით: ცხელ საჭმელიან ბუფეტებისთვის—1000 მან.; ცივ საჭმელიან ბუფეტისთვის—500 მ. პალატკებისა და სადალაქოებისთვის 200 მ. საწინდარის შეტანა შეიძლება სამმართველოს მთავარ კასაში, ან ერთ-ერთ სადგურის კასაში, და თუ წინადადება არ იქნა მიღებული, ფული პატრონს დაუბრუნდება.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ექსპლოატაციის განყოფილებაში 10—2 საათამდე.

197 3—1

ქალ. ტფილისის მე 13 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე გავსოვიჩი აცხადებს, რომ 1919 წ. დეკემბრის 19, დილის ათ საათზე, პიროგოვის ქუჩა, № 2, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბორის ზამლინსკის, ვლადიმერ კვატკოვსკის, ვლადიმერ კარპოვიჩის და არკადი მატინოვის მოძრავ ქონებაზე, რომელიც აწერილია იოსებ მნაცაკანოვის ვალში, ტფილ. ოლქის სასამარ. აღმასრ. ფურცლით № 20240 ქონება შეიცავს ჭურჭელს, დგამს და სხვ. შეფასებულს 12974 მან. 50 კაპ. 290 1—1

დაკარგულია ტფილისის პირველ კერძო ლომბარდის კვიტანციები №№ 85848, 86034 და 8660—100 მ. 600 მ. და 40 მ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 275 3—2

რკინის გზების მილიციის სამმართველოში ინახება ტფილისის სადგურის ბაქანზე ნაპოვნი ფული 375 მანეთი. დამკარგველს შეუძლია მიიღოს ეს ფული მილიციის უფროსიდან ელისაბედის ქუჩაზე № 200. 344 3—3

მიხეილ მელიქის ძე სალიბეკოვი აცხადებს რომ მან დაჰკარგა ავადმყოფობის გამო სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილისის მაზრის სამხედრო უფროსისგან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 332 3—3

გრიგორი მოვსესის ძე ლუკაშოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ქ. ბაქოს ქალაქის გამგეობიდან 2 აგვისტოს 1918 წ. № 219. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 334 3—3

რაფი მოსესის ძე ხიტაროვი აცხადებს რომ მან დაჰკარგა საზღვარ გარეთ გასასვლელი პასპორტი, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან № 1192. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 347 3—3

კონსტანტინე სოლომონის ძე არამიანცი აცხადებს რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიიდან 18 თებერვალს 1908 წ № 2096. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 341 3—3

სიონ იასაიას ასული ატოიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფ. სომხეთა ეროვნულ საბჭოდან 18 ივლისს 1919 წ. № 10861. პასპორტი გაუქმებულათ ჩაით- 335 3—3

სანდრო ყაისარის ძე ფიფია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ბახვის რაიონის კომისარისგან და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული ოზურგეთის სამაზრო კომისარისგან. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.

340 3—3

გრიგოლ დავითის ძე ქაჯაია აცხადებს რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა მიღებული სინოდალურ კანტორიდან 25 აგვ. 1916 წ. № 15704. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 833 3—3

ზაქარია ნიკოლოზის ძე ტაბუაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს. 345 3—3

სარქის ივანეს ძე პოლოსოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ერთ წლიანი პასპორტი, მიღებული თელავის ქალაქის გამგეობიდან 5 აპრილს, 1919 წ. № 460. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 348 3—2

ამაიაკ გრიგორის ძე მანუკიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ალექსანდროპოლის სამხედრო უფროსისგან № 835. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 349 3—2

ტფილისის ვაჭართა ბანკის გამგეობა

ამით აცნობებს ბ. ბ. აქციონერებს, რომ კვირას 1920 წ. იანვრის 11-ს, დილის 11 საათზე ბანკის შენობაში (ერევნის მოედანი) დანიშნულია

საგანგებო საზოგადო კრება

განსახილველი საგნები: 1. ბანკის კაპიტალის გადიდება აქციების ახალი გამოცემით. ბანკის აქციები, რომლებიც ხმის უფლებას აძლევენ საზოგადო კრებაზე, ან და მათ მაგიერ სახელმწიფო და საკრედიტო დაწესებულებიდან მიღებული მოწმობები, რომ ისინი ინახება ან დაგირავებულია. აქციების №№ დაწვრილებით უნდა წარმოდგენილ იქნეს ბანკის გამგეობაში არა უგვიანეს 7 დღისა საზოგადო კრებამდე. მეორე, მესამე და მეოთხე გამოცემის აქციების დროებითი მოწმობების წარმოდგენა, როგორც სახელობითის საჭირო არ არის, რადგან მათი პატრონების სახელი შეტანილი იქნება აქციონერთა სიაში გამგეობის წიგნების მიხედვით, ამასთანავე გამგეობის წიგნებში შეტანა დროებითი მოწმობების პატრონებისა, ან მათი გადაცემა ერთი პირიდან მეორეზე უნდა მოხდეს არა უგვიანეს 7 დღისა საზოგადო კრებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, დროებითი მოწმობების პატრონები, ბანკის წესდების მე 57 §-ის ძალით ვერ ისარგებლებენ ვერც პირადათ და ვერც ვექილობით ხმის უფლებით საზოგადო კრებაზე. ფინანსთა მინისტრის ნებართვით წესდების მე 56 § შეცვლის გამო, რომელიც არკვევდა თითეულ აქციონერის უფლებას საზოგადო კრებაზე წარმოდგენილ აქციების მიხედვით, დღიდან საზოგადო კრებაზე წარმოდგენილი თითეული 25 აქციების მიხედვით, დღიდან საზოგადო კრებაზე წარმოდგენილი თითეული 25 აქცია აძლევს ერთ ხმას. (50 აქ.—2 ხმას, 75—3 ხმ. 100—4 ხმ. და სხ. იმ განსაზღვრით, რომ არც ერთ აქციონერს არ შეუძლია ისარგებლოს პირადათ ან მინდობილობით, იმდენი ხმით, რაც აღემატება კრებაზე დამსწრე აქციონერთა ხმების ერთ მეათედს. გადაცემის ვექილობა უნდა წარუდგინოს გამგეობას არა უგვიანეს 3 დღისა საზოგადო კრებამდე. პირველ გამოცემის აქციები (№№ 1—20 000), ან მათი მაგიერი მოწმობები მიიღება ბანკის გამგეობაში ყოველ დღე 10—12 საათამდე გარდა უქმეებისა; მათი მიღების ვადა და აგრეთვე დრო მოწმობების პატრონების შეტანისა გამგეობის წიგნებში, თავდება შაბათს, 3 იანვარს 1920 წ. დღის 1 ს. 207 1—1